ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 175

ქ. თეთრიწყარო

06 ოქტომბერი 2011 წელი

ერთის მხრივ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი (შემდეგში "შემსყიდველი") და მეორეს მხრივ შპს „თეთრიწყარო ტრანსი" (შემდგომში "მიმწოდებელი") ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ნიკოლა სარკოზის საქართველოში ვიზიტთან დაკავშირებით ქ. თბილისში გამართულ ღონისძიებაზე, მუნიციპალიტეტის მცხოვრებთაგან დასწრების მსურველთა ტრანსპორტირების შესყიდვა /60100000-CPV/ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონი 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 1900 (ერთი ათას ცხრაასი) ლარს.

2.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. მხარეთა უფლება–მოვალეობანი

"მიმწოდებელი" ვალდებულია:

3.1. 2011 წლის 07 ოქტომბერს უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა.

"შემსყიდველი" ვალდებულია

3.4. აწარმოოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დროულად და ხარისხიანად შესრულებაზე.

3.5. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებათა დროულად და ხარისხიანად შესრულების შემდეგ აუნაზღაუროს მიმწოდებელს სახელშეკრულებო ღირებულება, ამ ხელშეკრულების მე-4 მუხლით განსაზღვრულ პირობებითა და ვადებში.

4. ანგარიშსწორება

4.1. უნაღდო ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მომსახურების გაწევის დასრულების შემდეგ მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენისა და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე მისი გაფორმებიდან 30 დღის ვადაში.

4.2. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის ან მათი არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელი იხდის ჯარიმას, სახელშეკრულებო ღირებულების 5% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

5.2. აღნიშნულ ჯარიმას შემსყიდველი გამოუქვითავს მიმწოდებელს გაწეულ მომსახურებაზე გადასახდელი თანხიდან.

5.3. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

5.4. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან მათი არასათანადოდ შესრულებისას შემსყიდველი იხდის ჯარიმას გადაუხდელი თანხის 5%-ს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6. მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
6.2. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება მომსახურების გაწევის შემდეგ, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გააფორმებით.
6.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს, ტექნიკურ ზედამხედველობას განახორციელებს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი.

7. ფორს-მაჟორი

7.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.
7.2. ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან შემსრულებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოებები შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით.
7.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავის შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას და ცდილობს გამონახოს ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორულ გარემოებათა ზეგავლენისაგან.

8. ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები

8.1. ხელშეკრულება შეიძლება დაირღვეს:
- მხარეთა შეთანხმებით;
- ფორს-მაჟორული სიტუაციით;
- ხელშეკრულების ცალმხრივი დარღვევა შესაძლებელია რომელიმე მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

9.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
9.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით.
9.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. ინსპექტირების პირობები

10.1 ხელშეკრულებას ინსპექტირებას უწევს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი.
10.2. გაწეულ მომსახურებაში გამოვლენილ ნაკლოვანებებს ინსპექტირების გამწევი პირი აფიქსირებს ოქმით. დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორება ხდება "მიმწოდებლის" მიერ საკუთარი ხარჯებით.

11. დავის გადაწყვეტა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა მხარეებს შორის წყდება მოლაპარაკების გზით.
11.2. თანხმობის მიუღწეველობის შემთხვევაში დავა წყდება სასამართლოში.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულება ძალაშია 2011 წლის 06 ოქტომბერი 2011 წლის 31 დეკემბრამდე.

12. მხარეთა იურიდიული მისამართი, საბანკო რეკვიზიტები

„შემსყიდველი"

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი
ქ. თეთრიწყარო თამარ მეფის ქ .№34
ს/ს „ლიბერთი ბანკი"-ს
თეთრიწყაროს ფილიალი
ბ/კოდი LBRTGE22
ა/ა GE02LB0120116397860000
ს/კოდი: 230869254

„შემსრულებელი"

შპს „თეთრიწყაროს ტრანსი"
ქ. თეთრიწყარო თამარ მეფის ქ. №35
ს/ს „ლიბერთი ბანკი"-ს
თეთრიწყაროს ფილიალი
ბ/კოდი LBRTGE22
ა/ა GE58LB0113198603411000
ს/კოდი: 230869860

13. მხარეთა ხელმოწერები

გიორგი მესტვირიშვილი

მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

მიხეილ ჯეგროზაშვილი

შპს „თეთრიწყარო ტრანსი"-ს
დირექტორი

შეთანხმებულია : საკრებულოს იურისტი

დ. აფციაური

მოამზადა : მუნიციპალური შესყიდვების
სამსახურის უფროსი

გ. დემეტრაშვილი